საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2636-03
12/09/2019

2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადების, წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის, რეგისტრაციის ვადებისა და ხელშეკრულების გაფორმების ვადების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტის, "პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლების და მეცნიერებათა მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის #111/ნ ბრძანების, რექტორის 2016 წლის 11 მარტის N447-02 ბრძანებისა და მასში 2016 წლის 26 სექტემბრის N2360-02 ბრძანებით ცვლილებების შეტანისა და ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2019 12 სექტემბრის N15602-35 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე(ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე/უცხო ენა) ჩარიცხვის მსურველთა საბუთების მიღება რეგისტრაციისათვის მოხდეს 2019 წლის 13 სექტემბრიდან 14 სექტემბრის ჩათვლით 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის E კორპუსში, E 207 აუდიტორიაში- მის: ვაკე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5.

2. განისაზღვროს 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე(ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე/უცხო ენა) რეგისტრაციისათვის წარმოსადგენილი დოკუმენტაციის ნუსხა:

ა) განაცხადი(ივსება ადგილზე);

ბ) ავტობიოგრაფია(CV)- ქართულ ენაზე;

გ)პირადობის მოწმობა და მისი ასლი. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში- პასპორტის(ან პირადობის მოწმობის) სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

დ) ცნობა საგნის გამოცდის ჩაბარების შესახებ გამოცდაზე რეგისტრაციის ნომრის, მიღებული და მინიმალური გამსვლელი ქულის მითითებით. მასწავლებლის სერტიფიკატის არსებობის შემთხვევაში, სანოტარო წესით დამოწმებული მასწავლებლის სერტიფიკატის ასლი;
ე) ორი ფოტოსურათი და ფოტოსურათის ელექტრონული ვერსია ელექტრონულ მატარებელზე(CD);
ვ) კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის: ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის- დიპლომის- სანოტარო წესით დამოწმებული ასლი ან შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა- შესაბამისი ხარისხის მინიჭების შესახებ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი. უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტი;
ზ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი(მხოლოდ ვაჟებისთვის);
3. მეორე პუნქტში მითითებული რეგისტრაციისა და დოკუმენტების მინდობილი პირის მიერ წარმოდგენის შემთხვევაში, მინდობილმა პირმა თან უნდა იქონიოს სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა.
4. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ჩატარდეს 2019 წლის 17 სექტემბერს. პროგრამების მიხედვით შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების ზუსტი დროისა და ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსდეს 2019 წლის 16 სექტემბერს.
5. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის შედეგები უნივერსიტეტის ვებგვერდზე კონკურსანტების მხოლოდ პირადი ნომრის მითითებით განთავსდეს 2019 წლის 18 სექტემბერს.
6. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის ვადად განისაზღვროს 2019 წლის 19 სექტემბერი 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარია(მის: ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზ.3/5).
7. სააპელაციო გამოცდა შედგეს 2019 წლის 23 სექტემბერს. სააპელაციო გამოცდის განრიგისა და ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე 2019 წლის 20 სექტემბერს.
8. კონკურსის მონაწილეთა საბოლოო შედეგები აპელაციის გათვალისწინებით გამოცხადდეს და განთავსდეს მხოლოდ პირადი ნომრის მითითებით უნივერსიტეტის ვებგვერდზე 2019 წლის 23 სექტემბერს.
9. იმ პირებთან, რომლებიც წარმატებით გაივლიან შიდასაუნივერსიტეტო გამოცდას და რეიტინგული სიის მიხედვით მოიპოვებენ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლებას, გაუფორმდეთ ხელშეკრულება შემდეგი განრიგის მიხედვით და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში:
ა) ძირითადი სიის მიხედვით ჩასარიცხ კანდიდატებთან გაფორმდეს ხელშეკრულება 2019 წლის 24 სექტემბერს 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, E 302 აუდიტორიაში(მის: ვაკე, ჩოლოყაშვილის გამზ.3/5);

ბ) სათადარიგო სიის მიხედვით ჩასარიცხ კანდიდატებთან გაფორმდეს ხელშეკრულება 2019 წლის 25 სექტემბერს 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, E 302 აუდიტორიაში(მის: ვაკე, ჩოლოყაშვილის გამზ.3/5);

10. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს დაევალოს ჩასარიცხ კანდიდატთა სია, რომლებმაც გააფორმეს უნივერსიტეტთან ხელშეკრულება და რანჟირების დოკუმენტთან ერთად არაუგვიანეს 2019 წლის 27 სექტემბრისა მიაწოდოს რექტორს, მათი ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემის მიზნით.

11. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს დაევალოს გააკონტროლოს და უზრუნველყოფს, რომ უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია კანდიდატთა პირადი ნომრების მითითებითა და მიღებული შეფასებებით, ხელმისაწვდომი აღარ იყოს ინტერნეტსივრცეში 2019 წლის 25 ოქტომბრიდან.

12. კონტროლი ბრძანებაზე დაევალოს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის განათლების სკოლის ხელმძღვანელს- სოფიკო ლობჯანიძეს.

13. ამ ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

14. უნივერსიტეტის კანცელარიასა და ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს დაევალოს ამ ბრძანების განთავსება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება.

15. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, განათლების სკოლას, იურიდიულ სამსახურსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

გიგა ზედანია

რექტორი